ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #149

9 ივლისი 2012 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრისათვის“ (ს/კ - 242008821) დ. ჩოხატაურში წერეთლის ქუჩა #1–ში მდებარე შენობა–ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 85.10 m^2 არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ.

,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–19[5] მუხლის მე–6 პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი“-ს 2012 წლის 02 ივლისის #21 მომართვის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გადაეცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი“-ს (ს/კ - 242008821) დ. ჩოხატაურში წერეთლის ქუჩა #1–ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 717.10 m^2 არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - #28.01.22.016.01/508) 85.10 m^2 არასაცხოვრებელი ფართი (საბალანსო ღირებულება - 2128 ლარი) თანდართული მეორე სართულის გეგმის შესაბამისად, სამსახურებრივი ფუნქციონირებისათვის.
2. უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის ვადა განისაზღვროს იურიდიული პირის არსებობის ვადით.
3. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგებელს (ლელა იმედაშვილი) მხარეებს შორის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. მისამართი: ჭავჭავაძის ქ. #4.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,
იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*